ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №67

23 აპრილი 2024 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან არველაძე, ლევან დავითაშვილი, არჩილ გორდულაძე, აკაკი ალადაშვილი, მიხეილ კაკაურიძე.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

№11-01241063134 საკრ.№15-0324106106-03 15/04/24
№11-0124113942 საკრ.№15-032411340-03 22/04/24

დღის წესრიგი დამტკიცდა.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.
წარმოდგენილია რაიონული გამგეობების და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილება.
კერძოდ იზრდება მეორე კვარტლის გეგმა „გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში“ (პროგ/კოდი“ 01 01 09)- 149 000 ლარით. „კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 16)- 700 000 ლარით, დიდუბის გამგეობა (პროგ/კოდი 10 29) - 6250 ლარით, საბურთალოს გამგეობა (პროგ/კოდი 10 32)- 21600 ლარით, „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“(პროგ/კოდი 08 02) - 120 360 ლარით, „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (პროგ/კოდი 07 02 01)- 35500 ლარით, „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (პროგ/კოდი 08 10)- 82857 ლარით. თანხების გადმოტანა ხდება მეორე და მესამე კვარტლის გეგმიდან.
ასევე ხდება წლიური გეგმის ცვლილება. პროგრამა „სხვა სოციალური (დახმარებები)ღონისძიებები კრწანისის რაიონში“ (პროგ/კოდი 026 02 18 15) -იზრდება 78480 ლარით, შესაბამისად მცირდება პროგრამა „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები“ (პროგ/კოდი 06 02 16 15)
საერთო ჯამში გადასახდელების მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 999949 ლარით, დაბალანსება ხდება შემოსავლების მეორე კვარტლის გეგმის გაზრდით და ნაშთის ცვლილებით.
გაიოზ თალაკვაძემ ისაუბრა წარმოდგენილი ცვლილებების გამომწვევ ფაქტორებზე.
მომხრე- 7
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური და რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლეობამ გადაწყვიტეს:
“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**